საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

# ქალაქ ბათუმის

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

# სარჩევი


**თავი 1. ძირითადი მიგნებები** 4

**თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ბათუმის საკრებულოს შესახებ** 5

**თავი 3. ზოგადი სტატისტიკა** 6

**თავი 4. მნიშვნელოვანი მოვლენები** 7

**თავი 5. კონტროლის ფუნქციის განხორციელება** 8

**თავი 6. კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობა** 9

6.1. საკრებულოს კომისიები 9

6.2. საკრებულოს ფრაქციები 10

**თავი 7. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება** 11

**თავი 8. გენდერული თანასწორობის საბჭო** 12

**თავი 9. კავშირები ბიზნესთან, არადეკლარირებული ქონება, შეუთავსებელი საქმიანობა** 13

**თავი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები** 14

10.1. საკრებულოში გაცემული შრომის ანაზღაურება 14

10.2. სხვა ხარჯები 14

**თავი 11. პრობლემები და რეკომენდაციები** 16

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (შემდეგში: საანგარიშო/საკვლევი პერიოდი) ქალაქ ბათუმის 2021 წლის მოწვევის საკრებულოს მიერ გაწეული საქმიანობა შეისწავლა.

ანგარიში ასევე მოიცავს ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც საკრებულოს მომავალ საქმიანობაში დაეხმარება.

ანგარიშის საფუძვლად გამოვიყენეთ საკრებულოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” დაკვირვებები და მედიის მასალები.

ორგანიზაციამ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის საქმიანობის შეფასების ანგარიში 2021 წლის სექტემბერში, ხოლო 2022 წლის საქმიანობის შეფასების ანგარიში 2023 წლის ივლისში გამოაქვეყნა.

# თავი 1. ძირითადი მიგნებები

- ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ რგოლს **სუსტ კონტროლს უწევს,** რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ „ქართული ოცნების" უმრავლესობას მერიის კონტროლის პოლიტიკური ნება არ აქვს;

- საკრებულოში ძირითადად მმართველი პარტიის მიერ ჩამოყალიბებული ფრაქციის ინიციატივებს უჭერენ მხარს, ოპოზიციური ფრაქციების წინადადებები კი ხშირ შემთხვევაში სხდომაზეც არ გააქვთ;

- ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს **12** და ბიუროს **24** სხდომა გაიმართა. დადებითად შეიძლება შეფასდეს ის, რომ ბათუმის საკრებულოს საანგარიშო პერიოდში რიგგარეშე სხდომა არ მოუწვევია, კომისიების სხდომები კი კვორუმის არარსებობის გამო არ ჩაშლილა;

- საკრებულომ მიიღო **42** დადგენილება, რომელთაგან **40** დადგენილების ინიციატორი და ავტორი იყო ბათუმის მერი, **2** დადგენილებისა - საკრებულო;

- საკვლევ პერიოდში საკრებულოს არ მოუწვევია **დამოუკიდებელი აუდიტორი** მერიის საქმიანობის გასაკონტროლებლად;

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე ხელფასის სახით გაიცა **2,175,343 ლარი,** მათ შორის დეპუტატებზე **993,423** ლარი და აპარატის თანამშრომლებზე **1,181,920** ლარი;

- საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე გაცემული შრომის ანაზღაურებიდან **93,626** ლარი არის პრემია/დანამატები;

- 2023 წელს საკრებულოს დეპუტატების და აპარატის თანამშრომლების სატელეფონო კომუნიკაციების მომსახურებისათვის დაიხარჯა **23,392 ლარი**, საკრებულოს სატრანსპორტო პარკის მოვლა-შენახვისათვის - **18,309 ლარი** და საწვავით უზრუნველყოფისათვის - **73,851 ლარი;**

- **მნიშვნელოვნად გაუარესდა ბათუმის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი.**

# თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ბათუმის საკრებულოს შესახებ

ქალაქ ბათუმის საკრებულოს **35** წევრი ჰყავს, რომელთაგან **7** წევრი არჩეულია ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებიდან, ხოლო **28** წევრი არჩეულია პროპორციული წესით.

**მანდატების გადანაწილება ბათუმის საკრებულოში**



| | |
|---|---|
| 16 | „ქართული ოცნება" (მათ შორის 5 მაჟორიტარი) |
| 14 | „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (მათ შორის 2 მაჟორიტარი) |
| 1 | „გახარია - საქართველოსთვის" |
| 1 | „ლელო - საქართველოსთვის" |
| 1 | „ხალხის ძალა" |
| 2 | დამოუკიდებელი დეპუტატი |

- ბათუმის საკრებულოში მუშაობს **5** კომისია:
  1. განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია;
  2. ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია;
  3. საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია;
  4. ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია;
  5. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.
- ბათუმის საკრებულოში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა შექმნეს **2** ფრაქცია: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".
- ბათუმის საკრებულოს ბიუროში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

- საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოში გაიმართა საკრებულოს **12** და ბიუროს **24** სხდომა. რიგგარეშე სხდომა არ გამართულა და კვორუმის არარსებობის გამო საკრებულოს სხდომა არ ჩაშლილა.

- საკვლევ პერიოდში ბათუმის საკრებულომ მიიღო **42** დადგენილება, მათ შორის **40** დადგენილების ინიციატორი და ავტორი იყო ქალაქ ბათუმის მერია, ხოლო **2** დადგენილებისა - ბათუმის საკრებულო;

- ამავე პერიოდში ბათუმის საკრებულომ მიიღო **105** განკარგულება. მათგან **89** განკარგულების ინიციატორი და ავტორი იყო ქალაქ ბათუმის მერია, ხოლო **16** განკარგულებისა - ბათუმის საკრებულო;

- 2023 წელს სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანომ **1** სამართლებრივ აქტზე მიიღო უარყოფითი დასკვნა, რომელიც საკრებულომ გაითვალისწინა (საკრებულოს აქტის შინაარსზე ინფორმაცია არ მოუწოდებია);

- საკვლევ პერიოდში ბათუმის მერმა საკრებულოს **ერთხელ** წარუდგინა სამართლებრივი აქტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებაზე თანხმობის მისაღებად, რაზეც მიიღო თანხმობა - 2023 წლის 19 მაისს საკრებულომ მიიღო განკარგულება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის „ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - (ფაზა V)”-ის განსახორციელებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ”;

- საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულომ მიიღო **15** გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ქონება უსასყიდლოდ გადაეცა საკუთრებაში სახელმწიფოსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას:

- 2023 წელს ბათუმის საკრებულოში ელექტრონული პეტიცია არ დარეგისტრირებულა.

- საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტები სულ **ოთხჯერ** წარედგინა;
- 2023 წელს ბათუმის მერიას **არ დაუფუძნებია** ახალი მუნიციპალური ორგანიზაცია და არც საკრებულოსთვის წარუდგენია წინადადება არსებული მუნიციპალური ორგანიზაციების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე;
- ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა, ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი, საცხოვრისის მშენებლობა, ინკლუზიური განათლებისა და დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების დაფინანსება/ ხელშეწყობა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა;
- ამავე პერიოდში ბათუმის საკრებულოს **არ დაუდგენია** რეგლამენტის ან ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტები.

- ბათუმის საკრებულომ არასრულყოფილად მოგვაწოდა ინფორმაცია **ბათუმის მერის და მერიის სხვა თანამდებობის პირების გაწეული საქმიანობის** შესახებ ანგარიშების წარდგენასთან დაკავშირებით. მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში არ ჩანს, თუ რამდენჯერ მიიწვიეს საკრებულოში მერიის თანამდებობის პირები და რომელი მათგანის საქმიანობა შეფასდა დადებითად ან უარყოფითად;

- საკრებულომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია გასულ წელს ბათუმის მერიის მიერ განხორციელებული **შესყიდვების** შესახებ;

- საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მიერ ინიცირებული საკითხების განსახილველად მერიის წარმომადგენლების სხდომებზე მოწვევასა და დასწრებასთან დაკავშირებით საკრებულოდან არაფერი მოგვწერეს;

- ბათუმის მერს და სხვა თანამდებობის პირს საკრებულოს ექვსმა წევრმა მიმართა **კითხვით/ ინფორმაციის გამოთხოვით,** თუმცა მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში საკითხების შესახებ არაფერია ნათქვამი. ყველაზე მეტი შეკითხვის ავტორები იყვნენ დეპუტატები ოპოზიციიდან: რევაზ ხარაზი, აკაკი გვიანიძე, ნატალია ძიძიგური, ვაჟა დარჩია, ნატო ნაცარაშვილი და ნაზი ფუტკარაძე. მმართველი პარტიის დეპუტატებს ამ უფლებით არ უსარგებლიათ.

- ბათუმის საკრებულომ 2023 წლის მუნიციპალურ **ბიუჯეტში 4-ჯერ შეიტანა ცვლილება**. ოთხივე შემთხვევაში ინიციატორი იყო ბათუმის მერი;

- ბათუმის საკრებულომ მოგვაწოდა ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტის განხილვის პერიოდში საკრებულოს კომისიების (საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია, განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია, ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია და იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისია), ფრაქციების (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გენდერული თანასწორობის საბჭოს, დამოუკიდებელი დეპუტატების (აკაკი გვიანიძე და ვაჟა დარჩია) და ფრაქციაში გაწევრიანებული დეპუტატის (რევაზ ხარაზი) ინდივიდუალურად წარდგენილი დასკვნების და შენიშვნების შესახებ.

- ბათუმის საკრებულოს **დამოუკიდებელი აუდიტორი** არ მოუწვევია;

- საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოს არ უმსჯელია ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისთვის **უნდობლობის გამოცხადების** შესახებ;

- 2023 წელს ბათუმის საკრებულომ მხარი დაუჭირა ბათუმის მერის მიერ წარდგენილ ყველა საკითხს;

- ბათუმის საკრებულოს **დროებითი სამუშაო ჯგუფი** არ შეუქმნია;

- საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოს არ უმსჯელია საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის და **ინტერესთა კონფლიქტის** შესახეხ. ასევე, არ გამოუვლენია რაიმე სახის გადაცდომა, ინტერესთა კონფლიქტი, თანამდებობრივი შეუთავსებლობა ბათუმის მერის საქმიანობაში, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში.

- 2023 წელს საკრებულომ განიხილა **16** ინიციატივა. მათ შორის **12-ს** ავტორი უმრავლესობის წევრები იყვნენ, **4-ს** - ოპოზიცია. უმრავლესობის ინიციატივებიდან 11 დაამტკიცეს, ხოლო 1 გადაუგზავნეს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს. ოპოზიციის არცერთი ინიციატივა არ გაუთვალისწინებიათ.

- საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოს **ადგილობრივი მოსაკრებლების და გადასახადების** შესახებ არ უმსჯელია;

- 2023 წელს სულ **14 დეპუტატმა** **გააცდინა** ბათუმის საკრებულოს და კომისიის სხდომები საპატიო და არასაპატიო მიზეზებით. ყველაზე მეტი - 23 გაცდენა (7 საკრებულოს, 16 - კომისიების სხდომების) აქვს ლაშა კილაბერიას, ყველა არასაპატიო მიზეზით, რის გამოც შეუწყდა დეპუტატის უფლებამოსილება;

# თავი 6. კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობა

## 6.1. საკრებულოს კომისიები

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკრებულოს კომისიების **63** სხდომა. კვორუმის არარსებობის გამო მუდმივმოქმედი კომისიების სხდომები არ ჩაშლილა.




საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ, საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე მოამზადა **12** დასკვნა.

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ საკრებულოს ცალკეული სამართლებრივი აქტებისა და პროცედურული საკითხების რეგლამენტთან შესაბამისობის კონტროლისას გამოავლინა შეუსაბამობის შემთხვევები, რომლებიც მყისიერად აღმოფხვრა და კანონმდებლობასთან მიმართებით მოამზადა დასკვნები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს კომისიებმა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარადგინეს **7** სამართლებრივი აქტი, ასევე ყველა კომისიამ მოამზადა შენიშვნები/ რეკომენდაციები 2023 წლის პირველად ბიუჯეტზე.

საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობაზე კონტროლის ფარგლებში კომისიების მიერ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები უცნობია. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის პასუხად გვაცნობეს, რომ კონტროლის მიზნით საკრებულოს რეგლამენტის თანახმად ისმენს და განიხილავს ანგარიშებს.

საკრებულოს კომისიებში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით სხვა პირები არ მიუწვევიათ, ასევე კომისიების თავმჯდომარეებს არ გაუკეთებიათ წარდგინება ექსპერტის ან სპეციალისტის მოწვევის შესახებ. საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცესში კომისიები იწვევდნენ მხოლოდ მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს.

## 6.2. საკრებულოს ფრაქციები

2023 წელს ბათუმის საკრებულოს ორივე ფრაქციამ -: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მოამზადეს შენიშვნები/რეკომენდაციები 2023 წლის პირველად ბიუჯეტზე. სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტები, წერილობითი ინიციატივები და შუამდგომლობები მათ არ წარუდგენიათ.

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარის მოადგილეების ჯამურმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა **356,928 ლარი.** ორივე ფრაქციის თანამდებობების დასახელება, რაოდენობა და თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების მოცულობა იყო იდენტური.

საკვლევ პერიოდში საკრებულოს ფრაქციების თანამდებობის პირებიდან, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე თენგიზ აფხაზავა ოთხჯერ იმყოფებოდა მივლინებით თბილისში, ხოლო ამავე ფრაქციის თავმჯდომარე როსტომ ხალვაში ერთხელ მივლინებით იმყოფებოდა ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში. მათ მივლინებებში სულ დაიხარჯა **5900** ლარი. ფრაქციების სხვა თანამდებობის პირები 2023 წელს მივლინებაში არ ყოფილან.

საკრებულომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია ფრაქციების თანამდებობის პირების სატელეფონო ხარჯების, ასევე მათთვის განკუთვნილი ავტომობილების, გახარჯული საწვავის, შეკეთება/რემონტის ხარჯების შესახებ.

# თავი 7. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება

მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, საკრებულო არ აკონკრეტებს, რა პროგრამებია გათვალისწინებული ბიუჯეტში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშესაწყობად შეიქმნა სამოქალაქო მრჩეველთა კომიტეტი და დამტკიცებულია საზოგადოებრივი დარბაზის და მრჩეველთა საბჭოს ფორმირების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

ბათუმის საკრებულომ თორმეტივე სხდომა კანონის მოთხოვნათა დაცვით დააანონსა.

# თავი 8. გენდერული თანასწორობის საბჭო

საანგარიშო პერიოდში გენდერული თანასწორობის საბჭოს არ განუხორციელებია სამართლებრივი აქტების ანალიზი და არ შეუმუშავებია წინადადებები. მას არც საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა განუხორციელებია და არ შეუმუშავებია წინადადებები.

საკრებულომ გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად შეიმუშავა გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, მაგრამ არ შეუქმნია მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, არც რეკომენდაციები შეუმუშავებია.

გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე საბჭოს არ განუხილავს განცხადებები, დოკუმენტაციები და სხვა სახის ინფორმაცია. ასევე არ წარუდგენია წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის.

საკრებულომ გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიშის მოწოდების ნაცვლად, მოგვაწოდა ამ საბჭოს თავმჯდომარის, ნატალია ზოიძის საქმიანობის ანგარიში. იგი ამავდროულად არის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეც. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში ვერც საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოვიძიეთ. აქ ხელმისაწვდომია მხოლოდ 2019-2021 და 2021-2022 წლების ანგარიშები.

# თავი 9. კავშირები ბიზნესთან, არაფეკლარირებული ქონება, შეუთავსებელი საქმიანობა

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილის, ლევან დოლიძის მამის კომპანიები: შპს „ბონდი 2009" და შპს „მონოლითი 2005" აგრძელებენ მუნიციპალური ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ შესყიდვებში მონაწილეობას, საიდანაც 2023 წელს 5**0 მილიონ ლარზე მეტი** შემოსავალი მიიღეს, მათ შორის "ბონდი 2009-მ" - **46,354,585 ლარი**, "მონოლითი 2005-მა" კი - **4,309,744 ლარი**.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" თავდაპირველად 2023 და განმეორებით 2024 წელს გამოაქვეყნა ინფორმაცია, ბათუმის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს დირექტორთან, აკაკი ბერიძესთან დაკავშირებული საეჭვო კორუფციული გარიგებების შესახებ.

2023 წლის დეკემბერში გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის დირექტორთან, არჩილ კონცელიძესთან და მისი ოჯახის წევრებთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტისა და სავარაუდო კორუფციული გაროგებების შესახებ.

# თავი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები

## 10.1. საკრებულოში გაცემული შრომის ანაზღაურება

2023 წელს საკრებულოს დეპუტატებზე და აპარატის თანამშრომლებზე ხელფასის სახით გაიცა **2,175,343 ლარი.** მათ შორის დეპუტატებზე **993,423** ლარი და აპარატის თანამშრომლებზე **1,181,920** ლარი. საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე გაცემული შრომის ანაზღაურებიდან **93,626 ლარი** არის პრემია/დანამატი.

**ბათუმის საკრებულოში 2023 წელს გაცემული შრომის ანაზღაურება (ლარი)**

993,423 საკრებულოს წევრები

664,982 საკრებულოს აპარატის შტატიანი თანამშრომლები

516,938 საკრებულოს აპარატის შტატგარეშე თანამშრომლები

**სულ - 2,175,343**

## 10.2. სხვა ხარჯები

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები **74-ჯერ** იმყოფებოდნენ სამსახურეობრივი მივლინებით, მათ შორის **14-ჯერ** უცხოეთში. საკრებულოს წევრებიდან ყველაზე ხშირად, **13-ჯერ** მივლინებაში იმყოფებოდა საკრებულოს თავმჯდომარე, რამაზ ჯინჭარაძე, მათ შორის 3-ჯერ ქვეყნის გარეთ (გერმანიასა და პოლონეთში). **7-ჯერ** იყო მივლინებაში პარტია „ხალხის ძალის" წევრი ნინო ცხვარაძე, მათ შორის 4-ჯერ უცხოეთში (საფრანგეთსა და თურქეთში). **6-ჯერ** იმყოფებოდა მივლინებაში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ირაკლი თავდგირიძე, მათ შორის 2-ჯერ ქვეყნის გარეთ (პოლონეთში). მივლინებებისათვის ჯამში დაიხარჯა **41,139 ლარი.**

## ბათუმის საკრებულოს სხვა ხარჯები - 2023 წელი (ლარი)



| | |
|---|---|
| 41,139 | მივლინება |
| 23,392 | სატელეფონო კომუნიკაცია |
| 18,309 | სატრანსპორტო პარკი |
| 73,851 | საწვავი |

**სულ - 156,691**

საკრებულომ კონკრეტული თანამდებობის პირებისათვის განკუთვნილი ავტომობილების, მარკის, გამოშვების წელის, გახარჯული საწვავის და შეკეთება/რემონტის ხარჯების შესახებ ინფორმაცია საკრებულომ არ მოგვაწოდა. საკრებულომ ასევე არ მოგვაწოდა ინფორმაცია კონკრეტული თანამდებობის პირთა სატელეფონო კომუნიკაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. მათ მიერ მოწოდებული ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია არის ჯამური მონაცემები და ის არ შეიცავს კონკრეტიკას თანადებობის პირების მიხედვით.

**კონტროლის განხორციელება**

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა აწარმოებდნენ საზედამხედველო საქმიანობას, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ შეკითხვის დასმის უფლებას, იბარებდნენ საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული მუნიციპალური ორგანოების თანამდებობის პირებს და მსჯელობდნენ მერისთვის ნდობის გამოცხადებაზე;
- საკრებულომ უნდა მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი;
- სავალდებულო უნდა გახდეს, რომ მერიის თანამდებობის პირებმა ანგარიში ჩააბარონ საკრებულოს.

**საკრებულოს სხდომები**

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს რეგლამენტით განისაზღვროს სხდომის გაცდენის საპატიო და არასაპატიო მიზეზები.
- მოქალაქეები თავისუფლად უნდა ესწრებოდნენ საკრებულოსა და კომისიების სხდომებს.

**საზოგადოების ჩართულობა**

- საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია საკრებულოს წევრების საქმიანობის შესახებ. ეს უზრუნველყოფს მათ ანგარიშვალდებულებას ამომრჩევლის წინაშე.

**გენდერული თანასწორობის საბჭო**

- აუცილებელია, საბჭომ გაზარდოს ინიცირებული პროექტების, რეკომენდაციებისა და წინადადებების რაოდენობა საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის წარსადგენად.